ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 4825107001

თარიღი:17/04/2025

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების მიერ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ს.კ. 29.10.32.270), ქ/ს წყალტუბო 220-ის გაფართოება 220 კვ. ფართის უჯრედის მოსაწყობად, დაცვა მართვის კონტეინერების და აღრიცხვის მოწყობილობების მონტაჟისათვის პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის, 54-ე მუხლის I ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ა” პუნქტისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებისა და საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 94-ე. 95-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე, მე-100-ე, 103-ე, 104-ე, 105-ე და 106-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმდეს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების მიერ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ს.კ. 29.10.32.270), ქ/ს წყალტუბო 220-ის გაფართოება 220 კვ. ფართის უჯრედის მოსაწყობად, დაცვა მართვის კონტეინერების და აღრიცხვის მოწყობილობების მონტაჟისათვის პროექტი და მიეცეს ნებართვა.

2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 1 დეკემბრამდე.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის, ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

221274546

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი